# 41 ქართული ოცნება

## განვითარება ყველა რეგიონს

ქართული ოცნება GEORGIAN DREAM



## ძვირფასო დუშელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.

„განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი დუშეთის მერობის კანდიდატისა და დუშეთის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს დუშეთის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს დუშეთი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

***„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო***

# დუშეთის მუნიციპალიტეტი

## ეკონომიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.** ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი საშუალოდ 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან,** შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან, 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

### ადგილობრივი ბიუჯეტი

**გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ დუშეთის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.** იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – თუ 2013 წელს დუშეთში ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 13,8 მლნ ლარი იყო, 2021 წლის გეგმით 25 მლნ ლარს შეადგენს. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების ნაწილი – 2013 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა, გადასახადების ნაწილში, შემოსავლების სახით 2,4 მლნ ლარი მიიღო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი უკვე 9,9 მლნ ლარს შეადგენს. ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნებისა და ამოცანების ეფექტიან განხორციელებას.

### სოფლის მეურნეობა

**სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.** „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან, 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

დუშეთის მუნიციპალიტეტში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, 2014-2021 წლებში, განხორციელდა **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 1 პროექტი** (ინვესტიცია 531 386 ლარი, სახელმწიფოს თანამონაწილეობა 212 555 ლარი). პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე“,** 2018-2021 წლებში, მხარდაჭერილია 3 პროექტი (ჯამურად 192 810 ლარი, თანამონაწილეობა 77 124 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 85 ჰექტარზე განხორციელდა 26 პროექტი (ჯამურად 776 429 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით**, 2014-2021 წლებში, ჯამურად, დაზღვეულია 81 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 268 647 ლარი), რითაც 61-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. ფერმერებს სტიქიით მიყენებული ზარალი 360 ლარით აუნაზღაურდათ. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით, დღეისთვის, მოქმედებს 9 კოოპერატივი (80 მეპაიე, მობილიზებული კაპიტალი 106 360 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით**, 2013-2021 წლებში, ჯამურად 6 896 009 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 1 099 496 ლარი), რითაც 108-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა. **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების 4 პროგრამის** ჯამურმა ინვესტიციამ 424 925 ლარი შეადგინა (თანადაფინანსება 169 970 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე**, 2013-2020 წლებში, 4 101 198 ლარი დაიხარჯა. **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა** 2020 წლიდან დაიწყო და დღემდე განხორციელდა 1 პროექტი (ინვესტიცია 100 000 ლარი, თანადაფინანსება 50 000 ლარი). 2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

- **მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.**

### მეწარმეობის განვითარება

**მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.**

სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** დუშეთის მუნიციპალიტეტში ხელშეკრულება გაფორმდა 6 საწარმოსთან, 2021 წლის მდგომარეობით, დაფინანსდა – 5 (ჯამურად 6 407 880 ლარი, დასაქმებულია 260 ადამიანი). ამავე **პროგრამის სასტუმროს კომპონენტში** ხელი შეეწყო 1 სასტუმროს მშენებლობას (ინვესტიცია 23 000 000, დასაქმდა 110 ადამიანი, დუშეთს 130 ახალი სასტუმრო ნომერი შეემატა). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 1 450 586 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 1 876 203 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 197 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 85, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 112 პროექტი).

- **მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად დაიხვეწება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამები და გაიზრდება მათი ეფექტიანობა.**

### ენერგეტიკა

**საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.**

2013-2021 წლებში, **მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, აშენდა 7 ჰიდროელექტროსადგური** (არაგვიჰესი, ლარსიჰესი, ყაზბეგიჰესი, დარიალჰესი, საგურამოჰესი, ბოდორნაჰესი, არაგვიჰესი 2), რომელთა დადგმული სიმძლავრე ჯამურად 152 მგვტ-ია, ჯამური საინვესტიციო მოცულობა – 172 მილიონი აშშ დოლარი.

**მშენებლობა-ლიცენზირების ეტაპზეა ექვსი ჰიდროელექტროსადგური:**

- ნაროვანჰესი – დადგმ. სიმძლავრე 0.6 მგვტ, 1,127 მლნ აშშ დოლარი;
- უძილაურთა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 8,48 მგვტ, 11,330 მლნ აშშ დოლარი;
- როშკაჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1.9 მგვტ, 3,13 მლნ. აშშ დოლარი.
- როშკა 1 – დადგმ. სიმძლავრე 1.03 მგვტ, 1 მლნ აშშ დოლარი;
- როშკა 2 – დადგმ. სიმძლავრე 1.99 მგვტ, 1.5 მლნ აშშ დოლარი;
- როშკა 3 – დადგმ. სიმძლავრე 1 მგვტ, 0,9 მლნ აშშ დოლარი.

**ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა:**

- ძეგვიჰესი – დადგმ. სიმძლავრე 15,7 მგვტ, 26,7 მლნ აშშ დოლარი;
- კამარაჰესი – დადგმ. სიმძლავრე 13,2 მგვტ, 37,8 მლნ აშშ დოლარი;
- მლეთაჰესი – დადგმ. სიმძლავრე 4,88 მგვტ, 4 მლნ აშშ დოლარი;
- ქვეშეთიჰესი– დადგმ. სიმძლავრე 10,3 მგვტ, 11 მლნ აშშ დოლარი;
- ბარისახოჰესი – დადგმ. სიმძლავრე 13,5 მგვტ, 12,1 მლნ აშშ დოლარი;
- მენესოჰესი – დადგმ. სიმძლავრე 8,2 მგვტ, 15,49 მლნ აშშ დოლარი;
- ხადა1 ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 2.6 მგვტ, 5,36 მლნ აშშ დოლარი;
- ხადა2 ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1.1 მგვტ, 2.84 მლნ აშშ დოლარი;
- შავი არაგვიჰესი – დადგმ. სიმძლავრე 5,3 მგვტ, 7,968 მლნ აშშ დოლარი;
- შავი არაგვი1 ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 3 მგვტ, 5,2 მლნ აშშ დოლარი.

**დუშეთის მუნიციპალიტეტში,** 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 7 024 აბონენტი. 2022-2023 წლებში, ხელისუფლება გეგმავს 2 სოფლის (ბაზალეთის (ზემო უბანი) და ზემო ბოდორნას) გაზიფიცირებას (დამატებით 80 აბონენტი). 2013-2017 წლებში, **დუშეთში ელექტროენერგიის ქსელში ჩაერთო 7 სოფელი:** კაწალხევი, ნოჯა, კოშკასყელი, ნოჯიკეთი, ქვემო და ზემო ღარისწყალი, ჩონთო (ჯამურად 104 აბონენტი). **მიმდინარეობს** სოფელ მუცოში მდ. მახკოლურაზე 100 კვტ სიმძლავრის მცირე ჰესისა და შიდაგამანაწილებელი ქსელის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო/სამშენებლო სამუშაოები. აღნიშნულ პერიოდში მუნიციპალიტეტში სულ 5 505 აბონენტს დაუმონტაჟდა **ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.



დუშეთში, ალ. ყაზბეგის ქუჩაზე მიმდინარეობს დაზიანებული გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია



## ტურიზმი

**„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან, 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.**

**ტურიზმის განვითარების მიზნით,** განხორციელდა რეგიონის ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია, მიმდინარეობს მარშრუტების კვლევის პროექტი. 2015 წლიდან ჩატარდა ტრენინგები ადგილობრივ ტურისტულ ინდუსტრიაში დასაქმებული ან დასასაქმებელი პირებისათვის.

**ამ ეტაპზე დასრულდა ან განხორციელების ეტაპზეა შემდეგი ტურისტული პროექტები:** დუშეთში კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე ცენტრალური პარკისა და 40 ძეგლის რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა; სოფელ შატილის განვითარების პროგრამის განხორციელება; ტურისტული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა ანანურის ციხესთან; ფშავში, სოფელ თვალივთან, ტურისტული რეკრეაციული პარკის მოწყობა; ხევსურეთში, სოფელ მუცოში, მუცოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სრული რეაბილიტაცია. 2013-2014 წლებში, აღდგა ფშავ-ხევსურეთში საფეხმავლო და საცხენოსნო ბილიკი ომალოსა (თუშეთი) და შატილს (ფშავ-ხევსურეთი) შორის (150 000 ლარი). **პროექტით „ღვინის გზა“** განხორციელდა ღვინის ტურიზმში ჩართული ობიექტების იდენტიფიცირება და მათთვის საგზაო მიმართულების მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი. შატილში დამონტაჟდა მიმართულების მანიშნებლები, საინფორმაციო დაფები და სასურათე ჩარჩო. შატილში მიმდინარეობს ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების **ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა** (დონორი KFW, ბიუჯეტი – 4 000 000 ლარი).

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

## გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით, არაერთი რეფორმა გატარდა.** ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2013-2020 წლებში, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, გაცემულია 135 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2019-2021 წლებში, მოსახლეობისთვის მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, მოეწყო 6 **საქმიანი ეზო.** 2014-2021 წლებში, ხე-ტყის ორგანიზებულად დამზადების ფარგლებში, დამზადდა 11934,3 კუბური მეტრი ხე-ტყე. რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება**.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს,** ამზადებს და ავრცელებს ამინდის პროგნოზებსა და გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ. ამავე სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი, ფორსმაჟორულ სიტუაციაში მდგომარეობის ოპერატიული შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით;

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

## ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

**2022-2023 წლებში, დუშეთის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.**

2013-2020 წლებში, დუშეთში, **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების** რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 14 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა, აშენდა 3 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 7 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 11,1 მლნ ლარის კომპენსაცია გამოყო.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტის 6 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 997 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ექნება.

2014-2020 წლებში, დუშეთის **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 6 მლნ მეტი დაიხარჯა. 2021-2023 წლებში, წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, დამატებით 15 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება.

**დუშეთის მუნიციპალიტეტში უკვე მიმდინარეობს ან იგეგმება წყალმომარაგების შემდეგი პროექტები:**

- სოფ. ბულაჩაურის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია/პროექტირება/მშენებლობის სამუშაოები – 6 464 000 ლ;
- სოფ. ახატნის წყალმომარაგების სისტემის პროექტირება-მშენებლობა – 4 213 559.00 ლ;
- სოფ. ზემო არანისის წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია – 581 180 ლ;
- სოფ. საკრამულში სასმელი წყლის ქაბურღილის მოწყობა – 300 000.00 ლ;
- სოფ. არაგვისპირში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია – 3 453 365 ლ;
- სოფ. ბაგაში წყალმომარაგების ქაბურღილის მოწყობა – 148 715 ლ;
- ბაზალეთში წყალმომარაგების რეზერვუარისა და ქსელის მოწყობა – 539 396 ლ.

## 2021-2022 წლებისთვის დუშეთის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- პლაჟის კეთილმოწყობა და პარკინგის მოწყობა – 1 022 738 ლ;
- ლომისის ტაძართან ტურისტული ინფრასტრუქტურისა და გზის მოწყობა – 1 032 881 ლ;
- გოდერძი ჩოხელის ეზოს რეაბილიტაცია – 401 330 ლ;
- ეკლესიის მიმდებარედ დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა – 95 000 ლ;
- გარეგანათების მოწყობა ბაზალეთის ტბიდან სოფ.ჩანადირთკარამდე – 23 221 ლ;
- გამსში ხიდის რეაბილიტაცია – 16 840 ლ;
- ბაზალეთში დევნილთა დასახლებისკენ მისასვლელი გზისა და ეზოების მოასფალტება – 880 715 ლ;
- სოფ. ოძისში (დავით და გიორგი ერისთავების სახლ-მუზეუმთან გზის მოასფალტება, განათება) შიდასასოფლო გზის რეაბილიტაცია – 323 000 ლ;
- ლაფანაანთკარი – აბანოსხევის გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია – 1 165 559 ლ;
- მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ტერიტორიაზე, აქტიურ ფაზაშია ქვეშეთი-კობის საერთაშორისო მნიშვნელობის 23 კმ-იანი გზის მშენებლობა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ქვეშეთი-კობის ს/გზაზე გვირაბისა და გზის მშენებლობა. პროექტების ჯამური ინვესტიცია 1,3 მილიარდ ლარს აღემატება. სახელმწიფოს გეგმით, 2024 წლამდე, ეტაპობრივად იგეგმება სხვადასხვა მონაკვეთების დასრულება;
- დაიწყება ნატახტარი-ჟინვალის 27-კმ-იანი ჩქაროსნული გზის მშენებლობა.

**ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41**

# მანანა (მაცაცო) ნარიმანიძე: „დუშეთი ყველაზე განვითარებული, ცოცხალი, ეკოლოგიურად სუფთა და ტურისტულად ყველაზე მიმზიდველი მუნიციპალიტეტი უნდა იყოს!“

**მისი ოფიციალური სახელი მანანაა, ახლობლები და შინაურები კი მაცაცოს ეძახიან. „შინაურებში“ დუშელებიც იგულისხმება – მშობლიურ ქალაქშიც ყველასთვის მაცაცოა. მუნიციპალიტეტში არც მის ოჯახს სჭირდება განსაკუთრებული წარდგენა – პედაგოგი პაპა-ბებიაც ახსოვთ, იურისტი მაგრამ მოყვარული მსახიობი მამაც, პატივს სცემენ დედას, და-ძმას და ქმარ-შვილს. დუშელები ამაყობენ იმით, რომ მათ წიაღში დაბადებულ-გაზრდილი რეგიონში ერთადერთი ქალი ვიცე-გუბერნატორი და გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი დღეს დუშეთის მერობის კანდიდატია „ქართული ოცნებიდან“. კანდიდატობამდე საინტერესო და რთული გზა გაიარა, პრინციპებისთვის კი არასდროს უღალატია.**

**არც დუშეთისთვის უღალატია. არაერთი შანსის მიუხედავად, მშობლიური მუნიციპალიტეტის მიტოვებაზე არასდროს უფიქრია. სამაგიეროდ, ბევრი აქვს ნაფიქრი იმაზე, როგორ განავითაროს დუშეთი, როგორ დაუბრუნოს ქალაქს საგანმანათლებლო სტატუსი, როგორ გააცოცხლოს სოფლები და როგორ შეუწყოს ხელი თითოეულ ოჯახს.**

**მანანა (მაცაცო) ნარიმანიძე მშობლიურ მუნიციპალიტეტთან დაკავშირებული გეგმების, განვლილი ცხოვრების, ოჯახისა და დუშეთში გატარებული ბავშვობის შესახებ გვიამბობს:**



დაიბადა 1980 წლის 26 მარტს.

1997-2002 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტზე; 2002-2006 წლებში – თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე. აქვს სამართლის მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი. 2011-2014 წლებში მუშაობდა დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის ადმინისტრაციაში, რეგიონული განვითარების სამსახურის უფროსად. 2014-2017 წლებში გახლდათ მცხეთის, ყაზბეგისა და ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტებში რეგიონული პროქტების კოორდინირების სამსახურის უფროსი; 2017-2019 წლებში იყო მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის მოადგილე; 2019-2021 წლებში – გუბერნატორის პირველი მოადგილე, 2020-2021 წლებში – სახელმწიფო რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი. ფლობს ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

– ქალაქ დუშეთში დავიბადე. ასფიქსიით. 5 წუთი ვიყავი უსიცოცხლო და რომ არა თბილისიდან მოწვეული ექიმი კაკო ჩუბინიძე, ვერ გადავრჩებოდი. 1980 წლის 26 მარტს, დუშეთის საავადმყოფოში კაკო ექიმმა გამოსტაცა სიკვდილს ჩემი თავი... დიდ, მხიარულ და საოცრად შეკრულ ოჯახში გავიზარდე. ჩემს ოჯახს დუშეთში კარგად იცნობენ. იციან პროფესიით პედაგოგი პაპა-ბებია – გიორგი ნარიმანიძე, რომელიც სხვადასხვა დროს დუშეთის სხვადასხვა სოფელში სკოლის დირექტორი იყო, ბოლოს დუშეთის პროფკავშირებში მუშაობდა და ჩემი საყვარელი ბებია -მარო ჭონიაშვილი, რომელმაც ჩემი აღზრდა-განათლება ითავა და ამ მიზნით, სკოლა ინტერნატში მუშაობას თავი დაანება. ხშირად ვამბობ, ვისაც ბიოლოგიის გაკვეთილი სკამზე შემდგარს არ მოუყოლია გამოთქმით, ცხოვრებაში არაფერი უგრძნიამეთქი.

**– თუმცა, თქვენ აღზრდაში, განსაკუთრებული წვლილი შეიტანა დედამაც, რომელიც როგორც ვიცი, ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე, თქვენი საუკეთესო მრჩეველი და გულშემატკივარია.**

– დიახ, მართლაც ასეა. ჩემი მშობლების პირველი, რომ იტყვიან, სიყრმის შვილი ვარ. დედა, მერი მაჭავარიანი, რომელსაც ყველა ნუნუკას ეძახის, პროფესიით ეკონომისტი, ფინანსისტია. მუშაობდა ბანკში, საგადასახადოში, მუნიციპალიტეტში საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსიც იყო, მაგრამ წინა ხელისუფლების დროს დაითხოვეს. სამსახურიდან წამოსვლის შემდეგ დედა აქტიურადაა ჩართული ჩემი მეორე შვილის აღზრდაში. მამა, თამაზ ნარიმანიძე იურისტი იყო. სამწუხაროდ, ჩვენი ოჯახის ტრაგედიაა, რომ მამა საკმაოდ ადრეულ ასაკში, გულის შეტევით გარდაიცვალა. მაშინ მხოლოდ 8 წლის ვიყავი. მამა მოყვარული მსახიობიც იყო და დუშეთის თეატრში არაერთ სპექტაკლში თამაშობდა. მათ შორის, „სტუმარ-მასპინძელში“ ჯოყოლას როლი შეასრულა. მეამაყება, რომ წიგნში, რომელიც ამ თეატრის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოიცა, მამის ულამაზესი სურათებიცაა. იმ თეატრის კარს რომ ვაღებ მგონია, რომ იქ ვბრუნდები, სადაც მამა ახალგაზრდაა, სადაც მან ძალიან ემოციური და ბედნიერი წლები გაატარა...

**– „სიყრმის შვილმა“ გარკვეული როლი დედმამიშვილების გაზრდაში ალბათ შეიტანეთ.**

– უფრო ძმის გაზრდაში, რომელიც ჩემზე 9 წლით უმცროსია. პროფესიით კინორეჟისორი თამაზ ნარიმანიძე არაერთი ქართული თუ უცხოური კინოფესტივალის გამარჯვებულია. ჰყავს მეუღლე და შვილი – პატარა თომა. ჩემი და, მარიკა კი, ჩემზე მხოლოდ 2 წლითაა პატარა. ჩემდა სამწუხაროდ უკვე 19 წელია ოჯახთან ერთად გერმანიაში ცხოვრობს. მარიკა 5 შვილის დედაა და მეამაყება, რომ ხუთივე დისშვილი ქართულ ყაიდაზე გაზრდილი, პატრიოტია და საქართველო ძალიან უყვართ. ლაღი ბავშვობა გვქონდა. მე საკმაოდ აქტიური ვიყავი. ოღონდ, ბაღში სიარული არ მიყვარდა. რომ მიმიყვანეს ერთი ამბავი ავტეხე. დირექტორმა დედას დაურეკა სამსახურში და უთხრა, ვერ ვაჩერებთ თქვენ შვილს, ასე გვითხრა, სანამ გული არ წამივა და მოვკვდები, არ უნდა წამიყვანოთ აქედანო? საბოლოოდ, ყველაფერი იმით დასრულდა, რომ მე და ბაღის ზიზო დირექტორი შევთანხმდით – 1 წელი მის კაბინეტში გავატარე. სამაგიეროდ, ზეიმებზე ვაქტიურობდი და არც ერთი ღონისძიება უჩემოდ არ ჩატარებულა.

**– სკოლაშიც ასეთი აქტიური მოსწავლე იყავით და საინტერესოა, პროფესიის არჩევისას რამ ითამაშა გადამწვეტი როლი?**

– მეამაყება, რომ დუშეთის მე-2 სკოლა დავამთავრე. საუკეთესო პედაგოგები მყავდა და მათი მადლიერი ვარ. მგონი, ერთადერთი მოსწავლე ვიყავი, ვისაც სკოლის გაცდენა არ უყვარდა. ასეთი შემთხვევა, ფაქტობრივად, არც მახსენდება. კარგადაც ვსწავლობდი და ძალიან ვაქტიურობდი – ვიყავი სკოლის ჯგუფხელი, კლასის ხელმძღვანელი... დაწყებითი კლასების დამრიგებელმა ჩემმა უსაყვარლესმა მასწავლებელმა ნუნუ დიდებაშვილმა უდიდესი როლი ითამაშა ჩემს პიროვნულ ჩამოყალიბებაში – შემდეგ ჩემს ცხოვრებაში მეორე საოცარი ადამიანი, ჩემი დამრიგებელი მიმლი როსტიაშვილი შემოვიდა, რომელიც ხშირად ხუმრობდა, მე კი არა, კლასის დამრიგებელი მაცაცოაო. ყველა პედაგოგი ერთმანეთზე საუკეთესო იყო. სკოლის წლები უბედნიერესი იყო. გაკვეთილების შემდეგ კლასელები მივდიოდით დუშეთის „ბულვარდში“ – ასე ვეძახით დუშელები ბულვარს. ვერთობოდით, ვსეირნობდით, ვსაუბრობდით... გვქონდა ულამაზესი საზაფხულო კინოთეატრი და ცნობილი სანაყინე, სადაც რკინის სანაყინეებით უგემრიელესი ნაყინი მოჰქონდათ. იქვე ფოტოატელიე იყო, სადაც არაჩვეულებრივი ფოტოგრაფი მუშაობდა და ჩვენი ჰობი მაშინ ფოტოების გადაღება იყო. ბავშვობის წლებს ხშირად სიამოვნებით ვიხსენებ. ვიხსენებ ასევე იმ პერიოდს, რომელმაც პროფესიის არჩევისას ითამაშა უდიდესი როლი. დედა მაშინ ბანკში მუშაობდა ბუღალტრად და მახსოვს, ბუღალტრებს ჰქონდათ უდიდესი, მაგიდისხელა მანქანები „ასკოტა“, სადაც კალკის ქაღალდზე საოცარი ციფრები იბეჭდებოდა, ბალანსი კეთდებოდა. სულ მინდოდა, რომ მეც მცოდნოდა ამ მანქანაზე მუშაობა და იმდენად დიდი შთაბეჭდილების ქვეშ აღმოვჩნდი, რომ დედას გამოვუცხადე, მეც ბუღალტერი უნდა გავხდე-მეთქი. მეთერთმეტე კლასში ჩემმა მათემატიკის მასწავლებელმა გიორგი ზვიადაურმა მითხრა – მოდი ფიზიკა-მათემატიკური განხრა აირჩიე და ერთი გამოცდით მოხვდები უნივერსტიტეტშიო, ყოველთვის რთული გზით მერჩივნა სიარული ამ შემოთავაზებაზე უარი ვთქვი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტი დავამთავრე, მაგრამ მალე მივხვდი, რომ ეს არ იყო ჩემი საქმე.

სწავლის პარალელურად დავსაქმდი. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში, 5 წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებებისა და ტრეფიკინგის საკითხებზე ვმუშაობდით.

**– თვითმმართველობაში მუშაობა როგორ დაიწყეთ?**

– 2007 წელს დუშეთის გამგეობაში ეძებდნენ კადრს, რომელიც შესყიდვების სამსახურში გამოადგებოდათ. საკმაოდ რთული წლები იყო. ხელისუფლებაში „ნაციონალები“ იყვნენ, მაგრამ დუშეთში გამგებელი ოპოზიციური პარტიიდან იყო. შემომთავაზეს მუშაობა. სიმართლე გითხრათ შესყიდვებში არ ვერკვეოდი და ვჭოჭმანობდი, მაგრამ დედამ მირჩია, რომ უნდა გამერისკა და არ შემშინებოდა, რადგან ყველაფრის სწავლას შევძლებდი. დავთანხმდი. საინტერესო აღმოჩნდა – მალე შესყიდვების მთავარ სპეციალისტად გადამიყვანეს. შემდეგ კი შეიქმნა სამსახური. ამ დროს გამგეობაში უკვე შეცვლილი იყო ვითარება. მეორე შვილი ჯერ მხოლოდ 19 დღის იყო, როცა დამირეკეს და მითხრეს, თუ სამსახურში გამოხვალ უფროსად გადაგიყვანთ, თუ არა – საერთოდ უნდა დატოვო სამსახურიო. მაშინ, ცხოვრებაში ალბათ ყველაზე რთული გადაწყვეტილება მივიღე – 19 დღის ნიკოლოზი ძიძასთან დავტოვე და სამსახურში გავედი. გარკვეული დროის შემდეგ, გამგებლის მოადგილის თანამდებობაზე ეძებდნენ ისეთ კადრს, რომელიც საფინანსო-საბიუჯეტო განხრით იმუშავებდა და იურიდიული საკითხებიც ეცოდინებოდა. ორ კანდიდატს შორის მერყეობდნენ და ჩემდა გასაკვირად, ჩემი კანდიდატურა გავიდა – ისე გავხდი გამგებლის პირველი მოადგილე, არც კი ვიცოდი.

**– ამბობთ, რომ ამ პერიოდში გამგეობაში უკვე შეცვლილი იყო ვითარება. არ გაგიჭირდათ მოვალეობის შესრულება?**

– ნამდვილად რთული პერიოდი იყო, უკვე შემოვიდა და აქტიურდებოდა ნაციონალური ფრთა, რომელთანაც კონფლიქტში შევედი, რადგან მათი ბევრი გადაწყვეტილება და ქმედება არ მომწონდა. სხვათაშორის, სწორედ იმ პერიოდში 2010 წლის 31 დეკემბერს გაათავისუფლეს სამსახურიდან დედაჩემი. მე კი, დაძაბულ რეჟიმში 1 წელი გავატარე. მთელი ამ დროის განმავლობაში მეუბნებოდნენ, დაწერე განცხადება და წადიო. მე კი ვეუბნებოდი, დაწერეთ განცხადება და გამიშვით სახლში-მეთქი. ვფიქრობ, იმიტომ არ გამათავისუფლეს, რომ უკვე პოლიტიკურ ჰორიზონტზე ჩანდა ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“. სამაგიეროდ, ფსიქოლოგიური ზეწოლა მიმდინარეობდა – მიბარებდნენ „მოდულში“, პროკურატურაში და ცდილობდნენ ეპოვათ რაიმე ხელჩასაჭიდი, იყო ოჯახზე ზეწოლაც. 2011 წლის დეკემბერში კი მითხრეს, ან გაგათავისუფლებთ სამსახურიდან, ან გუბერნიაში გადახვალ, სადაც გვჭირდება სწორად მოაზროვნე ადამიანი, რომელიც პროექტების მიმართულებით იმუშავებსო. წარმოიდგინეთ, მოსაფიქრებლად ზუსტად ის დრო მქონდა, რამდენი ხანიც იქ, იმ კაბინეტში ვიჯექი. ესეც ურთულესი გადაწყვეტილება იყო – დავტოვე სახლი, ოჯახი, წვალებით აშენებული კარიერა და მცხეთაში გადავედი. სხვათაშორის, ოქტომბრის დასაწყისში, გუბერნატორის ერთ-ერთმა მოადგილემ დამიბარა და მითხრა, არჩევნებში რომ გავიმარჯვებ, გაგათავისუფლებო. მე დავრჩი, ის – წავიდა. 2012 წელს ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა და ქვეყანა განვითარების, პროგრესის გზას დაადგა.

**– გუბერნიაში სხვადასხვა ეტაპი გაიარეს. გარკვეული პერიოდი, გუბერნატორის მოვალეობასაც ასრულებდით. რით იყო გამორჩეული თქვენი მუშაობა გუბერნიაში?**

– არაერთი პროექტის განხორციელებაში ვიყავი აქტიურად ჩართული. მცხეთა–მთიანეთის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი ავტორი ვარ. ვმუშაობ ენერგოეფექტურობის კუთხით და ვიყავი რეგიონის კოორდინატორი – ვამაყობ, რომ სამი მუნიციპალიტეტი ჩავრთე, $CO_2$-ის ემისიების შემცირების პროცესში. 7 თვე გუბერნატო-

**41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო**

რის მოვალეობას ვასრულებდი. ჩემ კისერზე გადაიარა პანდემიის პირველმა და მეორე ტალღამ. დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც მაშინ ჩემ გვერდით იდგა და 24-საათიან რეჟიმში მუშაობდა. კბილებით ვიცავდით რეგიონს და ფაქტობრივად, მცხეთა-მთიანეთი დიდი ხნის განმავლობაში იყო მწვანე ზონა. პირველი აფეთქება ლარსზე მოხდა და მეორე ტალღა ურთულესი იყო, მაგრამ ღირსეულად ვმართეთ პანდემია. 2021 წლის იანვრის ბოლოს მეც დამემართა კოვიდ-19, მაგრამ დისტანციურ რეჟიმში ვმუშაობდი, სხვათაშორის, ვირუსის დაძლევაში ძალიან დამეხმარა ფსიქოლოგიური ფაქტორი – იმდენ ადამიანს სჭირდებოდა ჩემი ყურადღება და დახმარება, ვერც კი გაიაზრე, რომ შეიძლებოდა ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობაც გართულებულიყო. კოვიდის პერიოდიც ნაყოფიერი იყო, მაშინ ვიმუშავეთ 2 დაცული ლანდშაფტის (არაგვისა და თრუსოს) დებულებაზე. ახალი გუბერნატორის მოსვლის შემდეგ, მასთან ერთად გავაგრძელე რეგიონის განვითარებისთვის მუშაობა. მეამაყება, რომ წლების განმავლობაში მცხეთა-მთიანეთში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელეთ. მეამაყება, რომ მცხეთის სპორტული კომპლექსი საცურაო აუზით იმ პერიოდში გაკეთდა, როცა პროექტების სამსახურს ვხელმძღვანელობდი. ანანურის ტურისტული კომპლექსი მოვაწესრიგეთ, შატილის სკოლა-პანსიონის ავაშენეთ, დუშეთში სპორტული კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობს. მეამაყება დუშეთის ბულვარის აღდგენა-რეაბილიტაცია. გრემისხევში, საგზაო დეპარტამენტის დახმარებით 11,5 კმ-იანი გზა გავაკეთეთ და სამუშაოები გრძელდება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია, რადგან ოკუპირებულ ხაზთან მდებარე სოფლებში ძალიან მოუწესრიგებელი ფაქტიურად გაუვალი გზა იყო. მუნიციპალური განვითარების ფონდის დახმარებით 3 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია მიმდინარეობს. მათ შორისაა ბარისახოს სკოლა, სადაც პაპა 10 წელი დირექტორი იყო და ისტორიას ასწავლიდა. იქ რომ ჩავედი, ერთმა ასაკოვანმა პედაგოგმა მკითხა, გიორგი დირექტორის რა ხარო და როცა გაიგო შვილიშვილი ვარ, ძალიან გავხარ სიმკაცრითო, მომიგო. სულ მგონია, რომ იქ, ზეციურ საქართველოში, პაპას ამაყად გავუსწორებ თვალს და ვეტყვი, იმ სკოლას, შენ რომ ხელმძღვანელობდი, სიცოცხლე დავუბრუნე-მეთქი. ვამაყობ იმითაც, რომ გოდერძი ჩოხელის სახლ-მუზეუმის მშენებლობა 2 წლის წინ დავასრულეთ და 1 თვეც არ არის, რაც მისი ეზოს კეთილმოწყობაც დასრულდა.

**– ქალბატონო მანანა, მცხეთა-მთიანეთის განვითარების სტრატეგიის ავტორი ხართ. კონკრეტულად დუშეთს განვითარების რა პერსპექტივა აქვს?**

– ტურიზმი... ქალაქ დუშეთზე გადის ძველი სამხედრო გზა, სადაც თურმე პუშკინი მოგზაურობდა. ეს გზა ანანურს უერთდებოდა და დიდი სურვილი მაქვს, აღვადგინო, თავისი მოსასვენებელი სადგურებით. ეს კარგი ტურისტული მარშრუტები იქნება და სოფლებსაც გააცოცხლებს. გვაქვს არაჩვეულებრივი სოფელი ბაზალეთი და ბაზალეთის ტბა, რომელიც დღეს ისეთი წყალუხვი აღარ არის. აუცილებელია მისი აღდგენა, გაცოცხლება, წყლით გაჯერება და სანაპირო ზოლის მოწყობა. გვაქვს არაჩვეულებრივი დაბა ჟინვალი, უნიკალური ფასანაური, გუდამაყრის საოცარი ხეობა, სადაც გზების მოწყობა აუცილებელია. აქ, ყველა სოფელში უნიკალური ტაძარია. ჩვენი, დუშელებისაა ლომისის წმინდა გიორგის ტაძარი, რომლის კეთილმოწყობაც უკვე მიმდინარეობს და ტურისტულად დღეს ყველაზე დატვირთულია, სადაც ექსტრემალური ტურიზმის მოყვარულებიც მოდიან. ჩვენია მჭადიჯვრის ღვთისმშობლის, ბოდორნის ღვთისმშობლის, დავათის, ანანურის ღვთისმშობლის ტაძრები... ჩვენია შატილი, მუცო, ფშავი, უკანაფშავი, არდოტი, როშკა-არხოტის, ხადას ხეობები... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აქ თვითონ ბუნებაა უნიკალური ძეგლი. და ამ ფონზე, დღეს დუშეთი ჩიხია – ყაზბეგისკენ მიმავალი ტურისტები გვერდს გვივლიან. ჩემთვის პრიორიტეტი იქნება ამ სოფლების გაცოცხლება და ტურისტულად განვითარება. ტურიზმს სოფლის მეურნეობის განვითარებაც ფეხდაფეხ მიყვება. დუშეთი მცირემიწიანია, მაგრამ საოჯახო სასტუმროების გახსნის შემდეგ, მათ მფლობელებს შეეძლებათ ტურისტებს თავისი მოწეული ეკოპროდუქტები შესთავაზონ, რაც მათ შემოსავალზე აისახება. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია, მითუმეტეს იმ სტატისტიკის ფონზე, რომელიც ძალიან მაშფოთებს – 2002 წლის აღწერით, მუნიციპალიტეტში, 36 ათასამდე ადამიანი ვიყავით, დღეს კი ეს მაჩვენებელი 26 ათასამდეა შემცირებული. მიგრაციაც დიდია და სიკვდილიანობაც ჭარბობს შობადობას. ამ ფონზე, ჩემთვის, თითოეული ადამიანის ხელშეწყობა, მათთვის პირობების გაუმჯობესება იქნება პრიორიტეტი.

დუშეთი იყო საგანმანათლებლო ცენტრი და კულტურული ქალაქი. ჩვენთან ილია ჭავჭავაძე მოღვაწეობდა მოსამართლედ. გვაქვს ილიასეული სასამართლოს შენობა, რომლის რეაბილიტაცია დაიწყო. აქ არის მე-19 საუკუნის სახლები, რომელიც აღდგება და ეს პროექტი დაახლოებით 40-მდე სახლს მოიცავს. მაქვს დიდი სურვილი, დუშეთს ეს სტატუსი დავუბრუნო. მიზეზი, რის გამოც ამ შემოთავაზებას დავთანხმდი, ჩემი გეგმაცაა და მიზანიც – დუშეთის მერობას ვაპირებ იმისთვის, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტი იყოს ეკონომიკურად ძლიერი, ტურისტულად ყველაზე მიმზიდველი და ცოცხალი... ამისთვის, გუნდთან ერთად, ყველაფერს გავაკეთებ.

**– მოგეცემათ ამის შანსი, 2 ოქტომბერს დუშელები ხმას თქვენ მოგცემენ?**

– ორი ბაზარი გვქონდა დუშელებს. ჩემ ბავშვობაში, პატარა ბაზარში სოფლებიდან რძის პროდუქტი ჩამოჰქონდათ და ამ ეკოპროდუქტზე დიდი მოთხოვნა იყო. ისეთი, რომ დიდხანს გვიწევდა მაწვნის რიგში დგომა. დუშელებს ასეთი გამოთქმაც გვაქვს – ვინც პატარა ბაზარში მაწვნის რიგში არ მდგარა და ძველ სატელეფონო წიგნში მისი გვარი არ წერია, დუშელობას ნუ დაიჩემებსო. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ძველ დუშეთში გავიარე, სადაც ჩვენი „პატარა ბაზარი“ იყო. ჩემი თანაქალაქელების გახარებული და ღიმილიანი სახეების დანახვამ და მათ თვალებში გაჩენილმა იმედის ნაპერწკლებმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. მათგან დიდი მხარდაჭერა ვიგრძენი, დარწმუნებული ვარ, 2 ოქტომბერს, ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრი მეც და ჩემს გუნდსაც, ნდობას გამოგვიცხადებენ.

# მაცაცო ნარიმანიძის „ოცნების სახლი“ და ძლიერი ოჯახი



წლების წინ, დუშეთის მეორე საბავშვო ბაღში ზეიმი გაიმართა, რომელსაც რაიკომის წარმომადგენელიც ესწრებოდა. ერთი პატარა, თვალებბრიალა გოგო ლექსს გამოთქმით ამბობდა. უცებ, დაავიწყდა... არ შეიმჩნია, სხვა ლექსი გადააბა და ისე ჩაარაკრაკა, ვითომც არაფერი. ზეიმის დასრულების შემდეგ, მოწვეულმა სტუმარმა თქვა: „ამ გოგოს დიდი მომავალი აქვს!“ „წინასწარმეტყველება“ ახდა, მაგრამ წარმატებამდე საკმაოდ რთული გზა განვლო. ბევრჯერ დადგა ურთულესი არჩევანის წინაშე, ბევრჯერ უსამართლობასაც შეეჩეხა, მაგრამ უკან არასდროს დაიხია, ფარ-ხმალი არასდროს დაყარა. პრინციპში, გასაკვირი არცაა – დაბადების წუთიდან მოუწია სიცოცხლისთვის გაბრძოლება და საოცარი ბრძოლისუნარიანობაც ამიტომ გამოუმუშავდა.

კიდევ ერთი „წინასწარმეტყველების“ ავტორი თავადაა – 15 წლის იყო, 17 მარტს, მეგობარმა დაბადების დღეზე რომ მიიწვია. იმ დღეს იუბილარს მაცაცოსთვის უცნობი ახალგაზრდებიც სტუმრობდნენ. რაღაც მომენტში აივნიდან თვალი უცნაურად ლამაზ სახლს მოჰკრა. ძალიან მოეწონა და გაიხუმრა: „რა კარგი სახლია, მის პატრონს ბიჭები არ ჰყავს, რომ ცოლად გავყვე და იქ ვიცხოვრო?“. „ჰყავს, მაგრამ შენისთანა რძალი არ უნდათ!“, – მიუგო გვერდით მდგომმა ახალგაზრდა ბიჭმა. უცნაური ტონი ჰქონდა, აი ისეთი, ადრეულ ასაკში ბიჭებს იმ გოგონების მიმართ რომ აქვთ, ძალიან რომ მოეწონებათ, საკუთარ თავსაც რომ არ უტყდებიან და „ამწარებენ“. დღეს მაცაცო იმ „ოცნების სახლის“ დიასახლისია. ის ბიჭი კი, უცნაური ტონით, სახლის მეპატრონის შვილი აღმოჩნდა. მათი სიყვარულის ულამაზესი ისტორიაც სწორედ გაცნობის დღიდან იწყება და 26 წელზე მეტს ითვლის.

დავით დუდაური პროფესიით ლანდშაფტის არქიტექტორია, წლების წინ სატყეო მეურნეობის უფროსი იყო, დღეს კი საკუთარი ბიზნესი აქვს. წყვილს ორი ვაჟი ჰყავს – ცოტნე 21 წლისაა და ღვინის ტექნოლოგიურზე, სახელმწიფო დაფინანსების პროგრამით სწავლობს. ცოტნე საცოლესთან თამთასთან (ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია) და მეგობრებთან ერთად, აქტიურადაა ჩართული დედის წინასაარჩევნო კამპანიაში. სხვათაშორის, გადაწყვეტილების მიღებისას უთქვამს – „დათანხმდი, დროა დუშეთს დუშელებმა მივხედოთ“. ზოგადად, ოჯახში ასეთი განწყობა იყო. დედამაც მსგავსი ფრაზით გაამხნევა: „იქ უნდა იყო, სადაც ხალხს სჭირდები“. მხარდაჭერა გამოუცხადა მეუღლემაც. მეტიც, ბატონ დავითს მიაჩნია, რომ მას მაცაცოს მერობისთვის გასულ წლებში უნდა ებრძოლა და დუშეთი დღეს ბევრად განვითარებული იქნებოდა. მის გამარჯვებაში დარწმუნებულია უმცროსი ვაჟიც – ნიკოლოზი, რომელიც სკოლის მოსწავლეა. დედის მსგავსად ისიც „წიგნის ჭიაა“, რაც დიდწილად „აზროვნების აკადემიის“ დამსახურებაა. ოჯახის ტრადიცია უქმეებზე დროის ერთად გატარებაა. თუ დედა რომელიმე პროექტის სანახავად მიდის, ნიკოლოზიც თან მიჰყავს. ნიკოლოზი ხალხთან შეხვედრებსაც ესწრება, ერთადერთი მიზეზით – აუცილებლად უნდა იცოდეს, ხალხი როგორ ცხოვრობს, რა სწყინთ, რა უხარიათ.

იცის, რომ თავისუფალი დრო ისევ ძალიან ცოტა ექნება. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვების მერეც, ძალიან გვიან მოუწევს ოჯახში მოსვლა. დაღლილი ცხელ ჩაის მოიდუღებს, მოკალათდება და უფალს მადლობას შესწირავს იმ ადამიანების გამო, ვინც ყოველთვის მის გვერდით არიან, ბრძოლის ძალასა და სიცოცხლის ხალისს აძლევენ. გაიხსენებს განვლილ გზას. გაიხსენებს იმასაც, რომ ჰქონდა შანსი, ჩინურ კერძო კომპანიაში ემუშავა და უზრუნველი ცხოვრება აეწყო, მაგრამ არ დათანხმდა – თავისი საქმისა და სამშობლოს გარეშე უბრალოდ არ შეუძლია! არც იმ მუნიციპალიტეტის გარეშე შეუძლია, სადაც მისი საყვარელი და საამაყო გოდერძი ჩოხელი და ვაჟა-ფშაველა დაიბადნენ... შემოქმედს მადლობას განვლილი, სირთულეებით სავსე, მაგრამ უაღრესად საინტერესო ცხოვრების გამო აუცილებლად გადაუხდის. ყველას ცხოვრებაში არ ტრიალებს ასეთი ქარბორბალა. არც იმის პატივი აქვს ყველას, მოულოდნელად პატრიარქის კურთხევა მიიღოს – წლების წინ, ვაჟა ფშაველას ფონდის დაარსების იდეა გაუჩნდათ და უწმინდესს მისი საპატიო თავმჯდომარეობა შესთავაზეს. შეხვედრას რამდენიმე ადამიანი ესწრებოდა. პატრიარქმა ისინი დალოცა, შემდეგ მაცაცოს მოუბრუნდა და მიუგო: „კურთხევას გაძლევ, რომ ხელსაქმით დაკავდე“. ხელსაქმე – ჩხირებით ქსოვა დედამ, ყაისნაღით ქსოვა კი ბებიამ ასწავლეს. იცის ქარგვაც. თავისუფალ დროს, თუ არ კითხულობდა, ყოველთვის ქსოვდა, მაგრამ პატრიარქის კურთხევის შემდეგ, ამ საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. თუმცა განსაკუთრებით ის ეამაყება, რომ პატრიარქის კურთხევის შემდეგ, ღირსი გახდა, მცხეთის დედათა მონასტრის იღუმენია ქეთევანისთვის (კოპლიანი) დიდი, შალის მოსასხამი მოექსოვა.

ზოგადად, საქმის გულით, სიყვარულით კეთება მისი ხასიათის მთავარი შტრიხია. და თუ ამ საქმეს საყვარელი ოჯახისთვის, მუნიციპალიტეტისთვის ან ქვეყნისთვის აკეთებს – მონდომება ასმაგდება. დღეს სწორედ ასეთი შემართება აქვს – 288 სოფლისთვის, 2 დაბისა და 1 ქალაქისთვის მაქსიმალურად უნდა დაიხარჯოს!



# ჯანმრთელობის დაცვა

**„ქართული ოცნებისთვის" უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების" ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.**

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ" საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, დუშეთის მუნიციპალიტეტზე, გამოყოფილია 41 089 468 ლარი, დაფინანსდა 58 665 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (1 871 996,9 ლარით 124 927 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (2 048 279 ლარით 28 576 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (28 673 246 ლარით 17 952 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (6 005 512 ლარით 5 907 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (1 274 162 ლარით 2 183 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (1 561 438 ლარით 3 273 შემთხვევა). გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.

**ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), პროგრამით, **დუშეთის მუნიციპალიტეტში**, დაფინანსდა 3 686 ბენეფიციარი (253 778 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა.დუშეთის მუნიციპალიტეტში, იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი 2020 წელს შეადგენდა 80.9%. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **დუშეთში,** სტაციონარული მკურნალობით 181-მა (666 026 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 1 326-მა პაციენტმა (180 333 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, **დუშეთის მუნიციპალიტეტში** ანტენატალური სერვისი მიიღო 3 382-მა (დაფინანსება 176 974 ლ), მედიკამენტები – 676-მა ორსულმა.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის" დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **დუშეთის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 436 პირი (88 335 ლარი).**

2012 წლის შემდეგ, **დუშეთის** მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. დუშეთში, 2013-2021 წლებში სულ 675 შემთხვევა 756 720 ლარით დაფინანსდა. **2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის" პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის" სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **დუშეთის მუნიციპალიტეტს 49 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

## ინფრასტრუქტურული პროექტები

**2014-2020 წლებში, დუშეთის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:** ამბულატორიების რეაბილიტაცია სოფლებში – ბაზალეთი (45 489 ლ), დაბა ჟინვალი (6 900 ლ), მჭადიჯვარი (38 652 ლ), გრემისხევი (14 170 ლ), დაბა ფასანაური (6 500 ლ), ქვეშეთი (38 596 ლ), უკანა ფშავი (39 375 ლ), შუაფხო (85 271 ლ), ბარისახო (17 761 ლ), ახიელი (47 749 ლ), შატილი (29 786 ლ),ჩანადირთკარი (3 871,9 ლ). **დაგეგმილია:** ამბულატორიების რეაბილიტაცია სოფლებში: ოძისი, ჭოპორტი, ლაფანაანთკარი, ბულაჩაური, ანანური, ჭართალი, გუდამაყარი, მაღაროსკარი. **დევნილები:** დუშეთი, ბაზალეთის ტბის მიმდებარე, სამგზავრო ლიფტის მოწყობა (118 167 ლ).

დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ისეთ მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორიცაა გაჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების დაფინანსება, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და ომის ვეტერანების დახმარება - მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

**ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:**

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის" ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.
- 2021 წლიდან იგეგმება სამედიცინო მომსახურების პროგრამით ქირურგიული მომსახურების განხორციელება სარეიტინგო ქულის გარეშე.



# სოციალური დაცვა

**2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.**

**2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები:** 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **დუშეთის მუნიციპალიტეტში,** სახელმწიფო პენსიის მიმღებია (01.04.2021 წ. მდგომ.) 6 153 პირი. 2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ – 7 939 549-დან 16 848 779 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ 108 239 327 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვისა** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **დუშეთში** კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 მდგომ.) 147 პირია. 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 4,6-ჯერ – 168 308-დან 778 372 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ 5 358 712 ლარი გაიცა.

**მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. **დუშეთის მუნიციპალიტეტში,** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 2 303 ოჯახია (01.04. 2021 მდგომ.). 2012 წლის შემდეგ 2,1-ჯერ – 2 161 ათასიდან 4 693 ათას ლარამდე გაიზარდა **საარსებო შემწეობებზე** გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 38 406 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 12 701 ათასი, შშმ პირებზე – 2 893 ათასი, ბავშვებზე – 11 270 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **დუშეთში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 1 150 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 5,7-ჯერ – 318 151-დან 1 814 364 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 12 126 886 ლარი.



**დუშეთის მუნიციპალიტეტში 323 დევნილია** (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 52 278-დან 168 525 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 1 265 914 ლარი.

**დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან დუშეთის მუნიციპალიტეტში დაკმაყოფილდა 128 ოჯახი, მათ შორის: პროექტით „სოფლად სახლი" სახელმწიფომ სახლი15 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 113 ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით, 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) დუშეთში დაფინანსებულია 209 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 2 119 350 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 289 650 ლარი.

**ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:** სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან დუშეთის მუნიციპალიტეტზე გამოყოფილია – 2 484 925 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს, დუშეთში, ჩართული იყო 1 118 ოჯახი, 2021 წელს – 1216 ოჯახი. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, დუშეთის მუნიციპალიტეტში, 2020 წელს ისარგებლა 377-მა ოჯახმა, 2021 წ. (ივნისის მონაცემებით) – 428. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტით დახმარებასთან ერთად, დამატებით გამოიყო 100 ლარი (6 თვით), მუნიციპალიტეტში პროგრამაში 2020 წ. ჩაერთო 447 პირი, 2021 წ. (ივნისის მდგომარეობით) – 450.

**„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის** დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867 ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით** (6 თვე თვეში – 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

2013 წელთან შედარებით **5,2-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 1 129,1 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 215,2 ათასი ლარი იყო.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა, მათ შორის უფასო სასადილოს დაფინანსება, ერთჯერადი სოციალური დახმარება, სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება, დევნილთა სოციალური დახმარება და ერთჯერადი ფულადი დახმარება.

**სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:**

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# განათლება

**განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.**

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

**2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა,** ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

**2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლე-



შატილის სკოლა

ჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

## სკოლამდელი აღზრდა და განათლება

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.** დუშეთში ფუნქციონირებს 18 მუნიციპალური საბავშვო ბაღი, მათგან 3 – ქ. დუშეთში, 1 – დაბა ფასანაურში, 1 – დაბა ჟინვალში, ხოლო 9 – სოფლად.

**2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა დუშეთში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება:** 2020 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განათლების სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის ფაქტობრივი მაჩვენებელი **2 მლნ 793.3 თასი ლარი** იყო. 2013 წელს კი შესაბამისმა დაფინანსებამ 682.9 ათასი ლარი შეადგინა.

**2014-2021 წლებში, რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებს.** განხორციელდა – დუშეთის №1 და №2, ბაზალეთის, ჭოპორტის, ჟინვალის, ბულაჩაურის, პირმისაანთკარის, არაგვისპირისა და გრემისხევის საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები; ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდა: დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის №1, №2 და №3 ფილიალებს, საბავშვო ბაღებს ანანურში, გრემისხევში, ბარისახოში, მაღაროსკარში, მჭადიჯვარში, ბაზალეთსა და დაბა ფასანაურში – სარეაბილიტაციო სამუშაოებზე სულ 699,4 ათასი ლარი დაიხარჯა. მთ შორის, **2015 წელს,** რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა 12 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, რაშიც სულ 458 605 ლარი დაიხარჯა; **2017-2018 წლებში** განხორციელდა მუნიციპალიტეტის 5 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია და გათბობის სისტემის მოწყობა (57,3 ათასი ლარი). დასრულდა ჭოპორტის (13 589 ათასი ლარი) და ოძისის (7,476 ათასი ლარი) საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია; არაგვისპირის, ჟინვალის, მაღაროსკარის, ანანურის, ფასანაურის, ქვეშეთის, ბაზალეთის, გრემისხევის, პირმისაანის საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია ჯამურად 90,5 ათასი ლარით დაფინანსდა;

**დასრულდა რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტები:** ქ. დუშეთის №1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია და ეზოს კეთილმოწყობა (616 508.87 ლარი), მაღაროსკარის საბავშვო ბაღის მშენებლობა (209 788 ლარი), ბულაჩაურის საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა (69 488 ლარი); დუშეთის №2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია და ეზოს კეთილმოწყობა (785 892 ლარი). **მიმდინარეობს:** დუშეთის №3 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისა და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები (667 223 ლარი); სოფელ მჭადიჯვრის საბავშვო ბაღის მშენებლობა (604 875 ლარი);

**შესრულებული სამუშაოების შედეგად,** 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, დუშეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობა 528-დან 700-მდე გაიზარდა. 1,5-დან **3,20** ლარამდე გაიზარდა მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში **კვების თანხა** თითოეულ აღსაზრდელზე, რითაც მნიშვნელოვნად გაფართოვდა და სრულფასოვანი გახდა ბავშვების კვების რაციონი. **სასკოლო მზაობის პროგრამა** დანერგილია საბავშვო ბაღების 5 ჯგუფში, პროგრამაში ჩართულია 170 ბავშვი. დასაქმებულია 60 აღმზრდელი. ექიმის კაბინეტი ფუნქციონირებს 4 საბავშვო ბაღში (3 – დუშეთში, 1 – ჟინვალში), ასევე, საბავშვო ბაღები სარგებლობს ფსიქოლოგის მომსახურებით.

## ზოგადი განათლება

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 38 საჯარო სკოლა, აქედან ქალაქში – 2, ხოლო დაბებსა და სოფლებში – 36 (**მათ

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

შორის, 26 სკოლა მთის სტატუსის მქონე დასახლებებში). სოფ. ხანდოსა და სოფ. ყვავილის საჯარო სკოლებში, მოსწავლეთა კონტინგენტის არარსებობის გამო, 2012-2013 წლიდან სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს). სკოლებში 3 229 მოსწავლე (მათ შორის, 1 431 – მთის სტატუსის მქონე დასახლებებში), 644 მასწავლებელია, მათ შორის 11 – სპეციალური მასწავლებელი. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ 2020 წლის მაისის მდგომარეობით იდენტიფიცირებულია 33 სსსმ მოსწავლე. 3 სკოლაში დასაქმებულია 6 **მანდატური** (4 – დუშეთში, 2 – ჟინვალში); 5 სკოლაში ფუნქციონირებს **ექიმის კაბინეტი.** დასაქმებულია **2 ფსიქოლოგი;**

**ზოგადი განათლების სფეროში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორცილებული პროგრამებით დუშეთის მუნიციპალიტეტში: წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამით,** 2018-2019 წლებში, გამოვლინდა 44 ოქროსა და 15 ვერცხლის მედალოსანი; **სასწავლო ოლიმპიადებში** მონაწილეობა მიიღო 808 მოსწავლემ, 2017-2019 წლებში, **საზაფხულო სკოლების** პროგრამით, საზაფხულო სკოლებში მონაწილეობდა 190 მოსწავლე; **საჯარო სკოლის ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში** ჩართულია 29 საჯარო სკოლის (71 მიმართულება) 806 მოსწავლე; პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“** პორტაბელური კომპუტერი გადაეცა 825 **პირველკლასელს,** 75 **დამრიგებელსა** და 47 წარჩინებულ **მოსწავლეს**; პროგრამით **„გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსება“,** 2017-2018 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სწავლება დაუფინანსდა გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, წალენჯიხის, **დუშეთის,** ონისა და საჩხერის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ 1168 სტუდენტს, ხოლო, 2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრის სწავლება – 1193-ს; 2018-2019 სასწავლო წლის პირველ სემესტრში – 1549 სტუდენტს; 2017-2019 წლებში, დარიგდა 68 080 **სახელმძღვანელო** და რვეული, 1 326 **ჟურნალი;** 2017-2020 წლებში, **სასაკოლო აქტივობების** ხელშეწყობის მიზნით, დაფინანსდა 80 პროექტი; 3 სკოლაში დანერგილია **მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშემწყობი შეფასებისა და ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირების** სისტემა; 38 სკოლა უზრუნველყოფილია **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის** სიჩქარით; **ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში,** დუშეთის 4 საჯარო სკოლას გადაეცა 44 კომპიუტერი; **ზოგად განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ქვეპროგრამით,** 2019 წელს, სოფლების – მაღაროსკარის, ბარისახოსა და შატილის სკოლა-პანსიონებში ირიცხებოდა 25 ბენეფიციარი. **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნობრივი პროგრამებით** კონსულტანტ-მასწავლებლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგ-მოდულები. 2018-2020 წლებში საწარმოში ტრენინგი გაიარა 6-მა მასწავლებელმა; **საჯარო მმართველობის კურსი** დაასრულა 6-მა პირმა.

**2013-2021 წლებში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, დუშეთის მუნიციპალიტეტში, სულ განხორციელდა საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 61 პროექტი, მათ შორის:**

**2013 წელს** – 19 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, 2 საჯარო სკოლის გაზიფიცირება (ჯამში 830 320 ლარი); **2014 წელს –** ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 4 სკოლას, რაზეც სულ 143 673 ლარი დაიხარჯა; **2015 წელს** დაფინანსდა 5 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, 2 სკოლის სამედიცინო ოთახის მოწყობა და დუშეთის №1 სკოლის შენობის გამაგრების სამუშაოები (სულ 480,8 ათასი ლარი); **2016 წელს** 2 საჯარო სკოლაში მოეწყო სამედიცინო ოთახი და ჩარგლის სკოლაში ჩატარდა ელექტრომომარაგების სიმძლავრის გაზრდის სამუშაოები (**19,3 ათასი** ლარი). **2017-2018** წლებში, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ბარისახოსა და მაღაროსკარის სკოლა-პანსიონებს (**79,9 ლარი);** დაბა ჟინვალის საჯარო სკოლაში მოეწყო ბუფეტი; საჯარო სკოლები გარემონტდა მუნიციპალიტეტის 11 სოფელში (62,7 ათასი ლარი).

**2017-2020 წლებში,** 19 საჯარო სკოლას გადაეცა საკოლო დაფა. 3 საჯარო სკოლას გადაეცა კომპიუტერული ტექნიკა. 2 საჯარო სკოლას გადაეცა სამედიცინო ინვენტარი. მუნიციპალიტეტში **11 ადაპტირებული სკოლაა;** დანერგილია **ახალი სკოლის მოდელი** 1 საჯარო სკოლაში.

**2018 წელს,** ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან თანამშრომლობით, სოფ. ჭოპორტში გაიხსნა **„ინოვაციების ცენტრი“,** სადაც მიმდინარეობს უფასო სწავლება ახალგაზრდებისა და თანამედროვე ტექნოლოგიებით დაინტერესებული სხვა პირებისთვის.

**სკოლების სახელმწიფო პროგრამით, 2019 წელს –** სველი წერტილები მოეწყო ანანურის, არაგვისპირის, დაბა ფასანაურის №2, მაღაროსკარის, ჭოპორტის საჯარო სკოლებში, ზანდუკის სკოლაში ჩატარდა დერეფნის, საკლასო ოთახების რეაბილიტაცია (ჯამურად 430, 2 ათასი ლარი); **2020 წელს –** სოფელ ზანდუკის ე.წ. გუდამაყრის საჯარო სკოლაში, ჩატარდა ზოგადი შიდასარეაბილიტაციო სამუშაოები, მოეწყო სველი წერტილები, შეკეთდა კედლები, იატაკი, ჭერი, შესასვლელი კარი (ჯამურად 63,965 ათასი ლარი); სველი წერტილები მოეწყო ბაზალეთის, ბულაჩაურის, მიქელიანის, დუშეთის №2, ლამოვანის, მჭადიჯვრის, საკრამულის, საშაბუროს, დაბა ფასანაურის №1 საჯარო სკოლებში (ჯამურად 892 781 ლარი); ოძისის საჯარო სკოლაში მოეწყო გათბობის სისტემა (173,685.00 ლარი); ქვეშეთის სკოლაში განხორციელდა სველი წერტილებისა და სპორტდარბაზის რეაბილიტაცია (69,620 ათასი ლარი), ხოლო ქართლის საჯარო სკოლაში მოეწყო სველი წერტილები (109 899 ათასი ლარი), გათბობის სისტემა (136 044 ათასი ლარი) და მინი სტადიონი (29 385.58 ლარი); **მიმდინარეობს:** სოფელ ლაფანაანთკარის საჯარო სკოლაში სველი წერტილების მოწყობის სამუშაოები (66 358 ლარი);

**2020 წელს, მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, დაიწყო და მიმდინარეობს:** პირმისაანთკარის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია – 2 მლნ 788,3 ათასი ლარი; ბარისახოს საჯარო სკოლის რეაბილიტაცია – 3 მლნ 303,324 ათასი ლარი; ქ. დუშეთის №1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია – 2 მლნ 588,835 ათასი ლარი. ცენტრალური გათბობა მოეწყო 10 საჯარო სკოლაში; სველი წერტილების მოწყობის სამუშაოები დუშეთის მე-2, სოფლების: მიქელიანის, ბაზალეთის, საშაბუროს, ბულაჩაურისა და ლაფანაანთკარის საჯარო სკოლებში – 406,9 ათასი ლარი.

**ბარისახოს საჯარო სკოლა-პანსიონში** შემოიღობა სკოლის პერიმეტრი, შეიცვალა ჭიშკარი, რეაბილიტირდა და დაემატა ახალი სველი წერტილები, შეიღება კედლები, სასადილო და სააქტო დარბაზში დაიგო ხის იატაკი, გაკეთდა ბეტონის ბილიკი. **მაღაროსკარის სკოლა-პანსიონს** ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. 2019 წლის 17 ოქტომბერს, **შატილის საჯარო სკოლა-პანსიონში** გაჩნდა ხანძარი, იმავე დღეს ხუთი ბენეფიციარი გადაიყვანეს სკოლის დირექტორისა და პედაგოგის საცხოვრებელ სახლებში, ხოლო მეორე დღეს სასწავლო პროცესი განახლდა სოფლის ამბულატორიის შენობაში. ამავე პერიოდში დასრულდა სასადილოს მშენებლობა, რომელიც სრულად იყო აღჭურვილი. 2020 წელს სკოლის ახლადრეაბილიტირებული სასადილო დაიწვა. მიმდინარეობს მისი რეაბილიტაცია. **სამივე სკოლა-პანსიონი უზრუნველყოფილია,** საკვებით, საჭირო მედიკამენტებით, ავეჯითა და სხვა საჭიროებებით. პანდემიის პერიოდში დისტანციური სწავლების დროს პანსიონის ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი იყვნენ საკვები პროდუქტებით. პანსიონის ბენეფიციარები ჩართულები არიან **კითხვის კლუბებსა და ხელგარჯილობის წრეებში.**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დუშეთის მუნიციპალიტეტში სკოლა-პანსიონების მშენებლობისათვის გამოეყო 550 ათასი ლარი, რომელიც მუნიციპალიტეტს გადაეცა **შატილსა და ბარისახოში სკოლა-პანსიონების მშენებლობის მიზნით.** ამჟამად შატილსა და ბარისახოში სკოლა-პანსიონების მშენებლობა დასრულებულია. შენობის დაწვის გამო, შატილის სკოლა-პანსიონს დამატებითი თანხა გამოეყო 2020 წლის მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან **– სულ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გამოეყო 700 ათასი ლარი.**

## პროფესიული განათლება

დაიწყო მუშაობა დუშეთში **ა(ა)იპ „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის“** ფილიალის განსავითარებლად. ახალი ფილიალი დაინტერესებულ პირებს დარგის საჭიროებებზე მორგებულ, თანამედროვე სტანდარტის საგანმანათლებლო პროგრამებს შეთავაზებს. „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა“ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მთის კურორტების განვითარების სააგენტოსა და სამთო გამყოლთა ასოციაციის მიერ ერთობლივად დაფუძნებული კოლეჯია.

## უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლიდან **სოციალური პროგრამით დაფინანსება მოიცავს მცხეთა-მთიანეთის რეგიონის** (დუშეთი, თიანეთი, მცხეთა და ყაზბეგი) მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლების სკოლის კურსდამთავრებულებს, 2018-2019 ს/წელს მცხეთა მთიანეთის რეგიონიდან დაფინანსდა 14 სტუდენტი. 2019-2020 ს/წელს – 14 , 2020-2021 ს/წელს – 14. 2020-2021 ს/წელს – **გამყოფი ხაზის პროგრამით,** დუშეთის მუნიციპალიტეტიდან დაფინანსდა 9 სტუდენტი.

## „ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდრატების დანერგვა და ყველასათვის ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება.
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია (მათ შორის, ქ. დუშეთის №1, №2 და №3, პირმისაანთკარისა და ბაზალეთის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია). საბავშვო ბაღები აშენდება მაღაროსკარში, ანანურის ა/ე სოფ. ცივწყაროში, პირმისაანთკარში, ლაფანაანთკარში – (2, 1 მლნ ლარი); საბავშვო ბაღების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები დაგეგმილია მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში (ჯამში 731 487 ლარი).
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება დუშეთში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- **გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის:** განხორციელდება 6 საჯარო სკოლის (შუაფხოს, პირმისაანთკარის, გრიგოლაანთკარის, ბარისახოს, შატილისა და ბულაჩაურის სკოლები) ნაწილობრივი რეაბილიტაცია; 2 საჯარო სკოლის (ფასანაურის №1 და არაგვისპირის სკოლები) სამედიცინო ოთახების მოწყობა; დაგეგმილია ქილურტის, წითელსოფელის, ძველი ოსების (ნოკორნა), ჩირიკის, პირმისაანთკარის, ზანდუკის, მაღაროსკარის, ოძისის, პავლეურის, დავათის საჯარო სკოლების სარემონტო სამუშაოები (სულ 327 130 ლარი); დაგეგმილია საჯარო სკოლების მშენებლობა სოფლებში: პავლეური, დავათი, წითელსოფელი (ჯამურად 1,2 მლნ ლარი); დაგეგმილია ანანურის სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია და ბაზალეთში სპორტული დარბაზის მშენებლობა.
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში განათლების ადმინისტრირების სფეროში მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება.
- დუშეთში დასრულდება ა(ა)იპ „სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის“ ფილიალის განვითარება;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- განხორციელდება უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.**

## კულტურა

**დუშეთში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები:** დუშეთის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დუშეთის ილია ზაქაიძის სახელობის კულტურის სახლი, დუშეთის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი (ანსამბლი „ქალილო“, „სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი, სახელოვნებო სკოლის კვარტეტი), დაბა ჟინვალის კულტურის სახლი, დუშეთის მთავარი ბიბლიოთეკა (დაბა ფასანაურის ბიბლიოთეკა, ანანურის, ჭოპორტის, დავათის სასოფლო ბიბლიოთეკები). ფასანაურის სამუსიკო სკოლა.

2018-2019 წლებში გუდამაყარში გაიხსნა კულტურულ-ეთნოგრაფიული სახლი.

2019 წელს გაიხსნა დაბა ჟინვალის ბიბლიოთეკა და ბარისახოს სასოფლო ბიბლიოთეკა. ხოლო 2020 წელს – დუშეთის საბიბლიოთეკო გაერთიანების ფილიალი, საზოგადოებრივი ცენტრის ბაზაზე.

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება.** 2013 წლის ბიუჯეტით კულტურის სფეროს ხარჯები განისაზღვრა 332,8 ათასი ლარით, 2020 წლის შესაბამისმა მაჩვენებელმა კი 714,2 ათასი ლარი შეადგინა.

2019 წელს, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით, მაღალმთიანი რეგიონებისთვის კულტურული ცხოვრების ხელმისაწვდომობის მიზნით, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაფხოში ჩატარდა ადგილობრივი ხალხური რეწვის გამოფენა და ვორკშოპები.

**2017-2019 წლებში შესრულდა დაგეგმილი კულტურული ღონისძიებების უმრავლესობა. ჩატარდა სახალხო დღესასწაულები:** „არაგველობა“, „შატილობა“, „დუშეთობა“, „გოდერძობა“. მუსიკალური და თეატრალური ღონისძიებები: „ვიოლინოს გასაღები“ და „ოქროს ნიღაბი“. დუშეთის სახალხო და თოჯინების თეატრებმა წარმოადგინეს სხვადასხვა სპექტაკლი. სამუსიკო სკოლების მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკურ კონკურსებში: „იპოვე შენი ვარსკვლავი“ და „მომავლის ვარსკვლავი“. ჩატარდა საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებები: „ქართული ანბანის საიდუმლო“, „დრაივ-სინემა“, „სინე-დოკი“– დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული. **ინტერნაციონალური კონცერტი ლიეტუვისა და უკრაინის ანსამბლების მონაწილეობით. იაპონიის კამერული ორკესტრის კონცერტი და დამეგობრება დუშეთის და ფასანაურის სამუსიკო სკოლების პედაგოგებთან და მოსწავლეებთან.** დუშეთის სამუსიკო სკოლის დაარსების 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ჩატარდა მუსიკალური კვირეული ცნობილი მუსიკოსებისა და კომპოზიტორების მონაწილეობით. ახალგაზრდა მხატვრების გამოფენები, ფოტოგამოფენები; „ურბანული მემკვიდრეობა“, კერძო კოლექციებში არსებული კულტ-მემკვიდრეობის ამსახველი მასალის გამოფენა. **2020 წელს, პანდემიის გამო გაუქმდა ყველა დიდი ღონისძიება.**

**2016-2021 წლებში, დუშეთის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები: 2016 წელს,** სოფელ ჩოხში მოეწყო კულტურულ-ეთნოგრაფიული დასვენების სახლი (9,9 ათასი ლარი). **2017 წელს** დასრულდა ქ. დუშეთის კულტურის სახლის რეაბილიტაცია (698,8 ათასი ლარი, რეგიონული განვითარების ფონდი); რეაბილიტაცია ჩაუტარდა ჭოპორტის ბიბლიოთეკას (247 ათასი ლარი); ანანურის ბიბლიოთეკაში განხორციელდა გათბობის სისტემის მოწყობისა და გაზიფიცირების სამუშაოები (500 ლარი); მომზადდა ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქციისა ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი; **2019-2020 წლებში** რეაბილიტაცია ჩაუტარდა დუშეთის ბიბლიოთეკას (120 ათასი ლარი, მუნიციპალური განვითარების ფონდი); **2020 წელს** დასრულდა თანდილაანთკარის ეკლესიის სრული რეაბილიტაცია. ანანურის სამონასტრო კომპლექსში მოეწყო დროებითი ღობე; მომზადდა შატილის №17 კოშკის სარეაბილიტაციო სამუშაობის პროექტი; მჭადიჯვრში ჩატარდა ილტოზის კვირაცხოვლის ეკლესიის რეაბილიტაცია. დასრულდა გიორგი და დავით ერისთავების სახლ-მუზეუმის შენობის გარე ფასადისა და სახურავის რეაბილიტაცია; სახლ-მუზეუმის ინტერიერში არსებული მოხატულობის კვლევა; განხორციელდა ანანურის ციხე კომპლექსის რეაბილიტაციის I ეტაპის პროექტი; მომზადდა ქოროღლოს ღვთისმშობლის ეკლესიის კომპლექსის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია; არხოტის თემის, სოფელ ამღას რეაბილიტაციის პროექტი; ალევის ოქროსკარიანი სამების ტაძრის რეაბილიტაცია. **მიმდინარეობს**: დუშეთის ალ. როინაშვილის სახელობის ბიბლიოთეკის სრული რეაბილიტაცია. დაბა ჟინვალის ბიბლიოთეკის გაზიფიცირების სამუშაოები (400 ლარი); მუცოს სარესტავრაციო სამუშაოები; მაღაროსკარის კართანის ეკლესიის, ვაშლობის ეკლესია, ოძისში გიორგი და დავით ერისთავების სასახლის დასუფთავებისა და სარესტავრაციო სამუშაოები. **დუშეთში** კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე სახლების ფასადების რეაბილიტაცია და ცენტრალური პარკთან გზის საფარის, ტროტუარებისა და განათების მოწყობა (**5 მლნ 122, 9 ათასი ლარი);**

**2013-2021 წლებში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მიზნობრივი პროგრამებით მუნიციპალიტეტში განახორციელა:** შატილის კოშკების რეაბილიტაცია (150 ათასი ლარი); ფუძნარის ტაძრის რეაბილიტაციის II და III ეტაპი (653,4 ათასი ლარი); მუცოს (კომპლექსური ძეგლი) რეაბილიტაციის I ეტაპი (730 ათასი ლარი); მუცოს არქიტექტურული კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშოები (698,5 ათასი ლარი); ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია და ეზოს კეთილმოწყობა (58,5 ათასი ლარი); შატილის № 6 სახლის რეაბილიტაცია (18, 359 ათასი ლარი). სსიპ თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრის 6 კონცერტი საქართველოს რეგიონებში (სულ 24 ათასი ლარი); „თემის მიერ მართული ურბანული სტრატეგიები ისტორიულ ქალაქებში (COMUS)“ – (დუშეთი და ჭიათურა), ევროსაბჭო, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო (28,3 ათასი ლარი); დავით და გიორგი ერისთავების სახლ-მუზეუმის რებილიტაციის I ეტაპი (112, 9 ათასი ლარი).

**მცხეთა-მთიანეთის რეგიონში**, მათ შორის დუშეთის მუნიციპალიტეტში, კულტურული ტურიზმის განვითარების მიზნით, 2019 წელს განხორციელდა სამინისტროს დაფინანსებული პროექტი **„მოდერნის სტილის არქიტექტურული მემკვიდრეობის კვლევა საქართველოში – გამოვლენა, აღრიცხვა და შესწავლა“** (19 750 ლარი). დუშეთის მუნიციპალიტეტზე გადის სამინისტროს სერტიფიცირებული მარშრუტი **„ალ. დიუმას კვალდაკვალ“.**

**კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფის** პროგრამით განხორციელდა: მუზეუმებში დაცულ კულტურულ ფასეულობათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფონდების სისტემატიზაციის მიზნით, ელექტრონული აღრიცხვის სისტემის (www.egmc.gov.ge) ადმინისტრირება და სისტემაზე გარემომხმარებლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა **(თბილისის, მცხეთის, დუშეთის, გორის, თელავის, ყვარლის, ქუთაისის, საჩხერის, ვანის, ფოთის, ზუგდიდის, ბათუმის მუნიციპალიტეტები).**

დუშეთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებული: გიორგი და დავით ერისთავების სახლ-მუზეუმი (2018 წლიდან სააგენტოს შემადგენლობაშია), რომელსაც 2019-2021 წლებში 453 ვიზიტორი ეწვია. მუცოს მუზეუმ-ნაკრძალი. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მონაცემებით, 2017-2021 წლებში, დუშეთის მუზეუმის ვიზიტორთა საერთო რაოდენობამ 16 788 შეადგინა, მოეწყო 12 გამოფენა.

## სპორტი

**დუშეთში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული** ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების“ ფილიალი – სასპორტო სკოლა.

2013 წელთან შედარებით **მნიშვნელოვნად გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება.** 2020 წლის ბიუჯეტით სპორტის ხარჯები **445,7 ათასი** ლარით განისაზღვრა, 2013 წელს შესაბამისი მაჩვენებელი 161 ათას ლარი იყო.

**2021 წლისთვის სასპორტო სკოლაში** 495 მოსწავლე და 52 მწვრთნელი ირიცხება. **სპორტის პრიორიტეტული სახეობებია:** კრივი, ნიჩბოსნობა, კარატე, ძიუდო, ქართული ჭიდაობა, ძალოსნობა და ფეხბურთი. **2020 წელს** ჩატარდა ძალოსნობაში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი იუნიორებსა და უფროს ასაკში; ძალოსანთა საქართველოს თასი და საქართველოს ქალ ძალოსანთა „ღია პირველობა 2020“. **ჩატარდება** ძალოსნობაში 2021 წლის საქართველოს ჩემპიონატი იუნიორთა შორის.

სასპორტო სკოლის სპორტსმენები წარმატებით ასპარეზობენ სპორტის სხვადასხვა სახეობაში რეგიონულ და რესპუბლიკის მასშტაბის ჩემპიონატებზე. აღსანიშნავია მიღწევები სპორტის შემდეგ ჩემპიონატებზე: საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი კარატეში; საქართველოს ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში, საქართველოს პირველობა სამბოში; საქართველოს პირველობა ძალოსნობაში; მონაწილეობა მცხეთა-მთიანეთის პირველობაზე ფეხბურთში.

**2017-2020 წლებში** გრძელდებოდა წარმატებული სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების პროგრამა.

2019-2020 წლებში – მაღალმთიან დასახლებებში მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

**2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები:** სოფ ბაზალეთის სანიჩბოსნო სკოლის რეაბილიტაცია (21 ათასი ლარი); სოფ. საკრამულას მინი სპორტული მოედნის მოწყობა (9,2 ათასი ლარი); სოფ. ჭოპორტის საჯარო სკოლის მინიმოედნის ხელოვ-



ნური საფარის მოწყობა (6,6 ათასი ლარი); სოფ. ლამოვანის სპორტული მოედნის მოწყობა (6,9 ათასი ლარი); სპორტული დარბაზის მშენებლობა სოფლებში: მანასეულში, ნადიბაანში, ხარხეთში, სალაჯურსა და გოგნაური (22,4 ათასი ლარი); სოფ. ახალ ტონჩაში სტადიონის მოწყობა (9,2 ათასი ლარი); სოფ. ჩანადირთკარში სტადიონის შემოღობვა (939 ლარი); სოფ. მლაშეს სტადიონის მოწყობა (3 ათასი ლარი); სოფ. ჭოპორტში სტადიონის მოწყობა (8,2 ათასი ლარი). დუშეთში რეაბილიტაცია ჩაუტარდა საფეხბურთო მოედანს (24,7 ათასი ლარი); წითელსოფელში მოეწყო მინი საფეხბურთო მოედანი (9 226 ლარი); მაღაროსკარში საფეხბურთო მოედანს ჩაუტარდა რეაბილიტაცია (10 918 ლარი), ოძისში დამონტაჟდა ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობები (150 ათასი ლარი).

**2020 წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა** დაბა ფასანაურის სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია – 238 499 ლარი. **მიმდინარეობს:** ქ. დუშეთში სპორტკომპლექსის მშენებლობა **–** 1,1 მლნ ლარი; დაბა ფასანაურში სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია – 271, 2 ათასი ლარი.

**2013-2018 წლებში,** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში ჩაატარეს 1 შიდაჩემპიონატი (14,6 ათასი ლარი) და 72 სასწავლო საწვრთნელი შეკრება (2 მლნ 721,5 ათასი ლარი). სამინისტრომ 1 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობა დააფინანსა (13,3 ათასი ლარი) და მუნიციპალიტეტისთვის სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარიც შეიძინა ( 9,9 ათასი ლარი).

**მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელების მხარდაჭერის პროგრამით** მუნიციპალიტეტში დასაქმებული **11 მწვრთნელი** იღებს ფულად დანამატს. ეს პროგრამა ხელს უწყობს ადგილზე მწვრთნელის დამაგრებას და სხვა პირების მაღალმთიან რეგიონში მწვრთნელად მუშაობის მოტივაციის გაზრდას.

## ახალგაზრდული პოლიტიკა

**ახალგაზრდული მიმართულებებით სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა:** დუშეთში სახელობო სწავლების სალონის შექმნა (15-მდე შშმ პირმა გაიარა სწავლება თექისა და ქსოვის მიმართულებით); ინკლუზიური სპექტაკლის ჩვენება (20 შშმ პირი); ინტეგრირებული ბოჩას ტურნირების გამართვა (პროექტში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი დღის ცენტრისა და კავშირების ბენეფიციარებმა); ვაჟაობის დღესასწაული ჩარგალში, რომლის ფარგლებშიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობით გაიმართა სხვადასხვა ღონისძიება.

**2018 წელს,** ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან თანამშრომლობით, **სოფ. ჭოპორტში გაიხსნა „ინოვაციების ცენტრი“,** სადაც მიმდინარეობს უფასო სწავლება ახალგაზრდებისა და თანამედროვე ტექნოლოგიებით დაინტერესებული სხვა პირებისთვის.

**სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელეს:** „მზის ამოსვლას შენთან ერთად შევხვდებით“ (10,4 ათასი ლარი). პროექტის მიზანია მოსახლეობისათვის ბაზალეთის ტბის ეკოლოგიური მდგომარეობისა და მოსალოდნელი საფრთხეების გაცნობა, მოქალაქეობრივი ვალდებულებების გაცნობიერება გარესამყაროს მიმართ; „ფასანაურში, არაგვის სანაპიროზე სპორტული, რეკრეაციული ზონის მოწყობა“ (4,4 ათასი ლარი) – პროექტის ფარგლებში, ჩატარდა სხვადასახვა სამუშაო, მათ შორის, სანაპიროზე გაკეთდა ფრენბურთის მოედანი; „სამჭედლო საქმის სწავლება სოფელ დავათის ახალგაზრდებისთვის“ (13,2 ათასი ლარი) – პროექტის მიზანი იყო სოფელ დავათში სრულად აღჭურვილი სამჭედლო სახელოსნოს ფუნქციონირება და ადგილობრივი 3 ახალგაზრდის დასაქმება, მეიარაღე ოსტატის მოსწავლეებთან ერთად შექმნილი ნამუშევრების გამოფენის მოწყობა; „მთიულეთის ეპიგრაფიკული და ხელნაწერი მემკვიდრეობა“ (16,0 ათასი ლარი) – პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდა ისტორიკოსების წახალისება, ადგილობრივ მოსწავლე-ახალგაზრდობაში, განსაკუთრებით კი დუშეთის მუნიციპალიტეტის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებში, მთიულეთის რეგიონის ეპიგრაფიკული, ხელნაწერი მემკვიდრეობისა და ისტორიული ძეგლების გაცნობა–პოპულარიზაცია; „ახალგაზრდული ბანაკი „ფშავი“ (16,7 ათასი ლარი) – ფშავში ბანაკის მოწყობა, ახალგაზრდებისათვის რეგიონის გაცნობა და მასობრივი ალპინიზმის ფართო გავრცელებას; პროექტი „უკანა ფშავის თანამედროვე, ახალგაზრდა ფერმერები“ (16,8 ათასი ლარი) სოფელ ვაკის სოფელში სამთო-მექანიზაციური ცენტრის შექმნა, მთიანი რელიეფისთვის გამოსადეგი სოფლის მეურნეობის ტექნიკის შეძენა და ახალგაზრდებისთვის მისი მოხმარების წესის სწავლებას ითვალისწინებდა; „უკანა ფშავში მცირე მეფუტკრეობის ცენტრის შექმნა“ (17,1 ათასი ლარი); „სოციალური საწარმოს დაფუძნება – „არაბული Artthouse“ (19,3 ათასი ლარი), პროექტი მიზნად ისახავდა ტრადიციული ხევსურული ხელსაქმის სახელოსნოს შექმნას ადგილობრივი მოსახლეობის დასასაქმებლად ხელოვნების სკოლის გახსნას, შემოქმედებითი ღონისძიებების გამართვისთვის შესაძლებლობების განვითარებას; პროექტით „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორია და სიძველეები“ (24,8 ათასი ლარი), განხორციელდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რეგიონთან დაკავშირებული არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, ფოლკლორული, ლინგვისტური და ისტორიული სამეცნიერო საკითხების კვლევა, საკითხების კომპლექსურ ანალიზი და თავმოყრა.

ასევე სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით, ხორციელდება პროექტები: **„ახალგაზრდული ცენტრი ხევსურეთში“** (18,7 ათასი ლარი), პროექტის ფარგლებში იგეგმება ბარისახოში „ახალგაზრდული ცენტრის" რემონტი და ტექნიკურ აღჭურვა, ასევე – საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებების ჩატარება. ცენტრში გაიხსნება და მუდმივად იმუშავებს კაფე, ბიბლიოთეკა, კინოთეატრი, ერთ ოთახში მოეწყობა საძინებელი ღამის გათევის მსურველ ვიზიტორებზე გასაქირავებლად და ა.შ ცენტრში გაიყიდება ახალგაზრდების მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთები, ხევსურეთსა და ფშავში მოყვანილი, ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქტებისგან დამზადებული კერძები; **„ტურისტულ-სათავგადასვლო ცენტრი/კემპინგი „ჩირდილი“** (18,9 ათასი ლარი), პროექტის ფარგლებში ხევსურეთში შეიქმნება სამთო-სათავგადასავლო ტურისტული ცენტრი/კემპინგი, რომელშიც გაერთიანდებიან ადგილობრივი ახალგაზრდები და ტურისტული ბიზნესით დაინტერესებული ადგილობრივი მოსახლეობა. მთაში მოგზაურები კემპინგში შეძლებენ ღამის თევას, კვებას და ექნებათ შესაძლებლობა, ისარგებლონ სხვადასხვა სერვისით: გიდი-გამყოლი, მანქანა, ცხენები, მიიღონ ინფორმაცია, კონსულტაცია და სხვ.



**2018 წელს კეთილმოეწყო სკვერები და თავშეყრის ადგილები ანანურში, დუშეთსა და ვაშლობში – 40, 6 ათასი ლარი.**

**2025 წლამდე კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით დუშეთის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:**

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებები მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- სოფელ ვაშლობში დაგეგმილია ვაშლობის ნაეკლესიარის რეაბილიტაცია – 250 ათასი ლარი;
- ციხისძირის ციხესიმაგრის რეაბილიტაციის პროექტირება/კონსერვაცია – 3,4 მლნ ლარი;
- ოძისი, ერისთავების სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია – 500 ათასი ლარი;
- სოფელ ამღის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია – 3, 6 მლნ ლარი;
- სოფელ ჩარგალში, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია, ინფრასტრუქტურის მოწყობა – 1 მლნ ლარი;
- განახორციელდება პროექტები: ხადის ხეობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინვენტარიზაცია;
- ხადის ხეობის სოფელ ქოროღლოს ღვთისმშობლის ეკლესიის კომპლექსის რეაბილიტაცია – 350 ათასი ლარი;
- ერისთავების სასახლის რეაბილიტაცია; „ცოცხალი წიგნები“; მუცოს ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის სარეაბილიტაციო/საკონსერვაციო სამუშაოები; ტრენინგები მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის თანამშრომლებისთვის;
- ჟინვალი ა/ე დაბა ჟინვალის კულტურის სახლის რეაბილიტაცია – 500 ათასი ლარი;
- გაგძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის ქ. დუშეთში მოეწყობა ახალი სპორტული მოედანი;
- დაგეგმილია ანანურის სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია და ბაზალეთში სპორტული დარბაზის მშენებლობა.
- ანანურის ა/ე სოფ. ანანურში არსებული სტადიონის რეაბილიტაცია 50 ათასი ლარი;
- დაგეგმილია საფეხბურთო მოედნის მოწყობა სოფელ წითლიანებში – 55 ათასი ლარი;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- 2021 წელს ჩატარდება ახალგაზრდების საჭიროების კვლევა;
- შეიქმნება ადგილობრივი ახალგაზრდული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
- გადამზადდება დუშეთის მერიის ახალგაზრდული სამსახურის 2 თანამშრომელი ახალგაზრდული პოლიტიკის კოორდინატორად;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41



# 41 მანანა (მაცაცო) ნარიმანიძე

## დუშეთის მერად

განვითარება ყველა რეგიონს

# ჩემო ძვირფასებო!

წილად მხვდა პატივი, დუშეთის მუნიციპალიტეტში „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი ვიყო, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი ჩვენს პოლიტიკურ გუნდს.

მთელი ცხოვრება მშობლიურ მხარეში გავატარე და საკუთარი თვალით ვხედავ იმ უდიდეს პროგრესს, რომელსაც მუნიციპალიტეტში ბოლო წლებში მივაღწიეთ, თუმცა არსებობს პრობლემები, რომლებიც ჩვენს ხალხს აწუხებს.

2007 წლიდან საჯარო სამსახურში ვსაქმიანობ და ჩვენს მუნიციპალიტეტს ვემსახურები. ამ დროის განმავლობაში, სხვადასხვა პოზიციას ვიკავებდი და თამამად ვიტყვი, რომ დუშეთის მაჯისცემაზე მიდევს ხელი. ამ ფონზე, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობ, როდესაც ვაცნობიერებ, რომ თქვენი მხარდაჭერით, მშობლიურ მხარესა და აქ მცხოვრებ ღირსეულ, პატრიოტ, ტრადიციების ერთგულ ხალხზე აქტიური ზრუნვის შესაძლებლობა მექნება.

ჩვენ გვაქვს რეალისტური სტრატეგია, რომელსაც ცენტრალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობითა და საზოგადოების ჩართულობით, აუცილებლად განვახორციელებთ.

მჯერა, შევძლებთ და მიტოვებულ ადგილებში სიცოცხლეს დავაბრუნებთ, სოფლებში აღმოვფხვრით ბუნებრივი აირითა და ელექტროენერგიით უწყვეტი მომარაგების პრობლემას, გავაუმჯობესებთ მუნიციპალიტეტში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და რაც მთავარია, სრულად ავითვისებთ აქ არსებულ ტურისტულ პოტენციალს, რაც ადგილობრივთათვის მეტ შემოსავალსა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას უზრუნველყოფს.

ვერაფერი შეედრება იმ ბედნიერებას, როდესაც აცნობიერებ, რომ ერთ ადამიანს მაინც დაეხმარე თუნდაც მცირე პრობლემის გადაჭრაში. მტკიცედ მწამს, თქვენი თანადგომით, ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ თითოეულ ადამიანს გავუწვდით დახმარების ხელს.

ერთად ვიზრუნოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის კეთილდღეობასა და განვითარებაზე!

ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

## „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:



- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;



- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;



- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;



- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;




- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;




- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;




- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.